-343
1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 5
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი
მაისი
1962

ეროვნული ბიბლიოთეკა




40 წელი



# სადღესასწაულო კოცონთან

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა.

მოდით, ჩვენო პატარა მეგობრებო, პიონერთა ამ დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად ჩვენს ჟურნალში კოცონი დავანთოთ.

სადღესასწაულო კოცონთან „დილას“ ყველა მკითხველს გიწვევთ.

ჯერ ყველამ ერთხმად მივულოცოთ უფროს მეგობრებს—პიონერებს დღესასწაული, ვუსურვოთ კარგი სწავლა და ბედნიერი მომავალი!

ახლა კი ავანთოთ ჩვენი სადღესასწაულო კოცონი.



სიტყვა მივცეთ ლ. შარმიაშვილს

# პირველი რაზმის

## პირველი პიონერები



პირველი პიონერული რაზმი ჩვენს ქვეყანაში ამ 40 წლის წინათ, 1922 წლის თებერვალში შეიქმნა მოსკოვში, კრასნაია პრესნის მე-16 სტამბასთან. მერე ასეთი რაზმები ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც ჩამოყალიბდა.

1922 წლის მაისში კი კომკავშირის თაოსნობით ყველა რაზმი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდა.

ასე დაიბადა ჩვენს ქვეყანაში ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია.

თბილისში პირველი პიონერული რაზმი ოთხი ათეული წლის წინათ ჩამოყალიბდა რკინიგზის სავაგონო დეპოსთან. ამ ფოტოსურათზე სწორედ ჩვენი რაზმია გადაღებული.

დავხედავ ხოლმე ამ სურათს და გამახსენდება პიონერული ლაშქრობები და საღამო-წარმოდგენები, რომლებსაც სოფლებში ვმართავდით.

პიონერულმა რაზმმა შემაყვარა შრომა, წიგნი. რაზმმა დაგვამეგობრა სხვადასხვა ეროვნების ბავშვები, მიგვაჩვია სიძნელეების გადალახვას.

ჩემს ორმოცი წლის წინანდელ მეგობრებს — პირველ პიონერებს ახლა თმაში ჭაღარა შეერიათ. ბევრ მათგანს თქვენოდენა შვილიშვილები ჰყავს. ზოგი ექიმია, ზოგი — ინჟინერი, ზოგი — მასწავლებელი... ჩვენ ხშირად ვიგონებთ პიონერთა ორგანიზაციაში გატარებულ წლებს და გვეამაყება, რომ პირველი რაზმის პირველი პიონერები ვიყავით.





ნახატი ლ. დანელიასი

I-2550

აი, რას გვიამბობს გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქტორი ი. ცერცვაძე

# ნორჩი ლენინელები

დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუდამ გულისყურით ეკიდებოდა პიონერთა საქმიანობას. ძალიან ახარებდა, რომ ბავშვები მხარში ედგნენ უფროსებს და აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში. პიონერები ხშირად სწერდნენ წერილებს დიდ ბელადს.

ლენინი ავად რომ გახდა, მოსკოვის ბაუმანის რაიონის მეათე რაზმის პიონერებმა ვლადიმერ ილიას ძეს წერილი გაუგზავნეს:

„პაპა ილიჩ,

ჩვენ, ნორჩი პიონერები, მხურვალე სალამს გითვლით და გისურვებთ, მალე გამოჯანსაღდე! ძალიან გვწყინს, რომ ასე დიდხანს ავადმყოფობ. ჩვენ ხომ არც ერთხელ არ გვინახავხარ. ნორჩ პიონერებს გვინდა, რომ მალე მოიკეთო და ჩვენს პიონერთა შეკრებაზე გამოხვიდე"...

მაგრამ პიონერები ვეღარ შეხვდნენ ლენინს. 1924 წლის 21 იანვარს ილიჩი გარდაიცვალა. საპატიო ყარაულში მოსკოველი პიონერებიც იდგნენ.

დიდი ბელადის პატივსაცემად პიონერთა ორგანიზაციას ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია ეწოდა.

კომკავშირის მე-6 ყრილობამ მოწოდებით მიმართა პიონერებს:

„პიონერებო, დადექით ლენინური დროშის ქვეშ და ლენინურ კომკავშირთან, ლენინურ პარტიასთან ერთად ემზადეთ ახალი ცხოვრების ასაშენებლად!

დაე, თითოეული პიონერი გახდეს ლენინელი!"

პიონერები მტკიცედ ასრულებდნენ კომკავშირის ამ მოწოდებას, ცდილობდნენ მუდამ ყოფილიყვნენ ნამდვილი ნორჩი ლენინელები.



ნახატი გ. გელოვანისა

## პიონერული ორწლედი

**პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავი რომ მოახლოვდა, საქართველოს პიონერებმა გადაწყვიტეს ჰქონოდათ თავიანთი ორწლედი. ეს ორწლედი პიონერთა ორგანიზაციის იუბილეს მიუძღვნეს:**

რამდენიმე ასეული ტონა ხის თესლი მოკრიფეს პიონერებმა.



პიონერები დაეხმარნენ უფროსებს სიმინდის, ყურძნის, ჭარხლის მოყვანაში.





პიონერებმა გააშენეს ბაღ-ვენახები, ტყეები და მრავალ გზატკეცილს ახლა ამშვენებს კაკლის და ხეხილის ხეივნები.



პიონერების მიერ შეკრებილ ჯართისაგან გაკეთებული ელმავლები სწრაფად დასრიალებენ რკინიგზებზე.

ახლა საკავშირო პიონერული შეკრების დელეგატს ს. ქევლიშვილს მოვუსმინოთ!



# დაუვიწყარი დღეები

ჩემო პატარებო, მე, სხვა პიონერებთან ერთად, საკავშირო პიონერული შეკრების დელეგატი ვიყავი. ეს შეკრება 1929 წლის აგვისტოს გაიმართა მოსკოვში.

არასოდეს დამავიწყდება ეს დღე. მოსკოვის „დინამოს" სტადიონი სხვადასხვა ეროვნების ბავშვებით იყო სავსე.

სტადიონზე პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ შეკრებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა:

> ზღვას გადაწვდება ლურჯტალღას,
> ხმა ქედებს
>     გადაევლება,—
> უმღერე, ელვა ხიმღერაც,
> პიონერების შეკრებას.

ეფინებოდა პოეტის მგზნებარე სიტყვები სტადიონს და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

22 აგვისტოს ბავშვთა საერთაშორისო კონგრესში მივიღე მონაწილეობა. სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინის მეუღლე ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. მან მოგვიწოდა პირნათლად შეგვესრულებინა ლენინის ანდერძი — გვესწავლა ბეჯითად!

ნ. კრუპსკაია გვესაუბრა წიგნის სიყვარულზე, მეგობრობაზე, მოგვაგონა, რომ პიონერთა ორგანიზაცია ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციაა, ნორჩი კომუნისტი კი უფროსებს აქტიურად უნდა ეხმარებოდეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

33 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. ახლაც სათუთად ვინახავ შეკრების დელეგატის მანდატს და სამკერდე ნიშანს. ისინი მუდამ მაგონებენ ჩემი პიონერობის დაუვიწყარ დღეებს.

კოცონთან სტუმრად გვეწვია თბილისის საბავშვო რკინიგზის მშენებელი ა. ზედგინიძე.

# მტკვრის პირას პარკში

1933 წლის მიწურულში მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის კართან სემაფორი აღმართულიყო. რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი გოგონა სალაროდან რკინიგზის ბილეთებს არიგებდა დარბაზში შესასვლელად.

„მოდით, ავაშენოთ საბავშვო რკინიგზა!" — ასე ვუწოდეთ თბილისის რკინიგზის სკოლების პიონერებმა იმდღევანდელ შეკრებას.

— სად? როგორ უნდა ავაშენოთ რკინიგზა?—კითხულობდნენ ცნობისმოყვარე ბავშვები.

სცენაზე ეკრანი გამოჩნდა. აი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, მომავალი მშენებლობის ადგილი... დარბაზში ტაში იქუხა.



ნახატი ბ. ფოცხიშვილისა

პიონერებმა ხელი მიჰყვეს მეფუტკრეობას, შექმნეს პატარა საფუტკრეები.





პიონერებმა მრავალი ფრინველი და საქონელი გამოზარდეს.

პიონერებს ხელოვნური „ზღვის" შექმნაც შეუძლიათ. „ზღვაში" მრავალი ლიფსიტა გაუშვეს. ამბობენ, წელს უამრავი თევზი მომრავლდებაო.



პიონერებმა ლაბორატორიის ქარხნის ბევრი სამკურნალო მცენარე შეაგროვეს.



პიონერთა სიტყვა და საქმე ერთია. რაკი უფროსებმა მხარი დაგვიჭირეს და დახმარებას დაგვპირდნენ, 1934 წლის ოქტომბერში ხუთასამდე პიონერი გამოვცხადდით პარკში სამუშაოდ.

პროექტში ყველაფერი ლამაზად იყო დახატული, მშენებლობის ადგილას კი გაქვავებული მიწა და ღორღი დაგვხვდა. მაგრამ პიონერები განა პიონერები ვიქნებოდით, თუკი სიძნელეს შევუშინდებოდით?!

მუშაობა გაჩაღდა.

1935 წლის გაზაფხულზე სადგურ „პიონერულში“ პირველად დაიკივლა ორთქლმავალმა და ბავშვებით სავსე პატარა მატარებელი ნელ-ნელა გაემართა სადგურ „სიხარულისაკენ“.

ეს იყო მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

ჩვენი ხელით აგებულ რკინიგზაზე, მტკვრის პირას, ასწლოვანი ხეებით დაბურულ პარკში ახლაც დაქრის პატარა მატარებელი თავისი მხიარული მგზავრებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბავშვებო, მოვუსმინოთ საბჭოთა კავშირის გმირს ი. ცისიშვილს!**

# სამშობლოს დიდება გმირებს

ამ ზეიმის დღეებში გავიხსენოთ ის პიონერები, რომლებმაც თავი დადეს ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის!





პიონერები კარგი ოსტატები არიან, ხელოსნობაც იციან.

ქრავალი ასეული მეტრი ქსოვილი მივიღეთ პიონერების გამოყვანილი აბრეშუმის პარკიდან.



ნახატები თ. სამსონაძისა

რამდენი რამ უნდა ჩამოვთვალოთ,—
საქართველოს პიონერებმა სასახელოდ შეასრულეს თავიანთი ორწლედი.

პიონერული ორწლედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პაველიკ მოროზოვის** სახელი უთუოდ ყველას გაგიგონიათ. რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ პავლიკმა ხალხის მტრების—კულაკების განზრახვა ამხილა. ისინი ხომ კოლმეურნეობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მამაცი პიონერი კულაკებმა მოჰკლეს.

სამამულო ომის დღეებშიც მრავალმა პიონერმა ისახელა თავი. ისინი უფროსებს ეხმარებოდნენ გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ზოგიერთი მათგანი ამ ბრძოლაში დაიღუპა. მრავალ პიონერს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ახლა კი მინდა გიამბოთ იმ გმირებზე, რომლებიც საქართველოს პიონერთა ორგანიზაციაში აღიზარდნენ.

ნახატი **მ. ახობაძისა**



# ბრძოლა სიცოცხლისათვის

ბორჯომის რკინიგზის მე-15 სკოლაში პიონერთა შეკრებაა. მეორე რაზმის საბჭოს თავმჯდომარე პატაკს აბარებს ხელმძღვანელს:

„...შეკრებაზე ყველა გამოცხადდა. საპატიო პიონერი **ერონის ინაური** კი გმირულად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში“.

ვინ არის ერონის ინაური? რატომ ირიცხება მეორე რაზმის საპატიო პიონერად?

ერონისი ამ სკოლაში სწავლობდა. აქ გახდა პიონერი, შემდეგ წავიდა ფრონტზე და გმირულად იბრძოდა.

...ერთ-ერთი შეტევის დროს მებრძოლებს მავთულხლართებმა და ნაღმებმა გადაუღობეს გზა.

საჭიროა გზის გაკაფვა,—ფიქრობდა ერონისი. რაღაც გადაწყვიტა, წამოდგა და წინ გაემართა დანაღმული გზისაკენ.

უცბად გაისმა ნაღმის გამაყრუებელი გრუხუნი. ცეცხლმა წამით გაანათა იქაუ-



რობა და მერე ყველაფერი კვამლში გაეხვია...

ერონისმა საკუთარი სიცოცხლით გაუკაფა გზა ამხანაგებს, რომლებიც შურისძიებით ეკვეთნენ მტერს.

შეტევა წარმატებით დამთავრდა.

ასე გასწირა სიცოცხლე შორეულ კარპატებში ქართველმა ჭაბუკმა ერონის ინაურმა. მისმა ფრონტელმა მეგობრებმა იმ ადგილზე ასეთი წარწერა დატოვეს: „ჩვენ სიცოცხლისათვის ვიბრძვით, მაგრამ თუ სიკვდილი გვიწერია, ისე მოვკვდებით, როგორც მოკვდა კომკავშირელი ინაური".

აი, რატომ მიაკუთვნეს მეორე რაზმს ერონის ინაურის სახელი და რატომ ირიცხება იგი ამ რაზმის საპატიო პიონერად.

# 1 მაისი



ეს ვარდი რომ გაიშალა,
[illegible]
იცით, რატომ გაიშალა?
იმიტომ რომ მაისია.

ბულბულების ბუდეებში
არნახული ხალისია,
ხედავენ, რომ გაზაფხულდა,
ხედავენ, რომ მაისია.

ყველა მღერის, ყველა ხარობს,
[illegible]
იცით, რატომ? იმიტომ რომ
დღეს პირველი მაისია!

# თორტიზელი ქალიშვილი

ოქტომბრელების მწკრივს ერთი შავთვალა გოგონა გამოეყო, პიონერების მწყობრის წინ გასწორდა და წარმოთქვა პიონერის საზეიმო დაპირება:

„...მხურვალედ მეყვარება ჩემი სამშობლო, ვიცხოვრებ, ვისწავლი და ვიბრძოლებ ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა, როგორც გვასწავლის კომუნისტური პარტია!".

ასე გახდა თორტიზელი გოგონა **თინა იოსებიძე** პიონერი. იგი მუდამ მტკიცედ ასრულებდა საზეიმო დაპირებას, კარგად სწავლობდა, აქტიური პიონერი იყო. თავისი დაპირება არასოდეს დაივიწყებია. როცა დიდი გაიზარდა, ფრონტზე წავიდა.

თინა მედიცინის და იყო. მან მრავალი დაჭრილი მებრძოლი იხსნა სიკვდილისაგან. თვითონაც რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ წინა ხაზზე მიდიოდა. თინა დაჯილდოებული იყო ორდენებით.

F-2550

1945 წლის გაზაფხულზე, როცა უკვე ახლოვდებოდა გამარჯვების დღე, თინა გმირულად დაიღუპა.

აი, როგორ მოხდა ეს:

მებრძოლებს დროებით უკან დახევა მოუხდათ. თინა მეომრებს ჭრილობას უხვევდა და ნავით მეორე ნაპირისაკენ აგზავნიდა. აი, უკანასკნელი ნავი; უკანასკნელი დაჭრილიც ჩასვა შიგ.

— თინა, ჩქარა ჩამოდი ნავში! — ეძახდნენ თანამებრძოლები, მაგრამ უკვე გვიან იყო. ნაპირს მტრის ტანკი მოადგა, გერმანელი მეავტომატეები ჩამოხტნენ. დაჭრილებს ხიფათი ელოდათ. თინამ ფეხით უბიძგა ნავს, რომ დაჭრილები სამშვიდობოს გასულიყვნენ. თვითონ კი უკანასკნელი ხელყუმბარა ესროლა მტერს და არხში გადაეშვა.

მტრის ხელში ჩავარდნას მამაცმა ქალიშვილმა გმირული სიკვდილი არჩია.



ნახატები გ. ტოტიბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ასოებით ამოიკითხეთ, რა სწერია?



# რატომ იჩქარა

**ნიკოლოზ ჩაჩავა** ნახატი ზ. ქავთარაძისა

ავთანდილს ბევრი წიგნი ჰქონდა. თვითონ კითხულობდა, მაგრამ სხვას რომ ეთხოვა, არ ანდობდა. თავის პატარა დასაც არ აკარებდა ახლოს. იტყოდა ხოლმე: წიგნს დამისვრიან, ფურცლებს დამიჭმუჭნიან და გამიფუჭებენო.

ეს კარგად იცოდნენ მისმა ამხანაგებმა და კიდეც ერიდებოდნენ თხოვნას.

ერთხელ მასთან ვაჟა მივიდა და ერთი წიგნი სთხოვა,—ამხანაგებს სულ ჩამოვუარე, მაგრამ ვერ ვიშოვნეო.

ავთანდილი კი თვითონ კითხულობდა ამ წიგნს. არდადეგები დაწყებულიყო და უნდოდა სოფელში წაეღო.

ვაჟამ დიდხანს ათვალიერა წიგნი. ხან ყდას დასცქეროდა, ხან შიგადაშიგ ფურცლებს გადაშლიდა და ადგილებს კითხულობდა, სურათებს ათვალიერებდა. მრავალი ფერადი სურათი იყო შიგ ჩართული.

ავთანდილის პატარა დაიკო ეთერი სულ თავს დასტრიალებდა ვაჟას, უნდოდა როგორმე თვითონაც ხელთ ეგდო და დაეთვალიერებინა ფერადი სურათები, მაგრამ ვინ მიაკარებდა ახლოს.

ვაჟასთვის რომ მიგეცათ ეს წიგნი, დღესვე წაიკითხავდა, მთელ ღამეს გაათენებდა და ხვალვე უკან მოუტანდა. მაგრამ ავთანდილი რომ ამაღამ სოფელში მიდის და თან უნდა წაიღოს! ამიტომ ვაჟას აღარ გაუმეორებია თავისი თხოვნა.

ამხანაგები დერეფანში საუბრობდნენ. ავთანდილის დედა დიდ ფაციფუცში იყო. ახლაც ოთახიდან რაღაც ბარგი გამოიტანა და სოფელში წასაღებად გამზადებულ კალათში ჩასდო. მერე საყვედურით მიმართა ავთანდილს:

— შვილო, შენი მეგობარი რომ დერეფანში გაგიჩერებია, ოთახში რატომ არ შეიყვანე?

ვაჟა ავთანდილს მალე დაემშვიდობა, კარგი მგზავრობა და დასვენება უსურვა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილს თავისი წიგნი მოაგონდა, უნდოდა წაეკითხა. ეძება, მაგრამ ვერსად მიაგნო. დედასაც ჰკითხა და ეთერსაც, არავინ არაფერი იცოდა.

საკვირველი იყო, წიგნი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ! უცებ ეჭვი ამხანაგზე აიღო: ალბათ ვაჟამ წასვლისას ისე გაიყოლა, რომ ვერ შევამჩნიე. არა რცხვენია, დაუკითხავად როგორ წაიღო! ხომ ვუთხარი, მე ვკითხულობ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რებუსი შეადგინა ქ. ქუთაისის ავტოქარხნის სკოლის მოსწავლემ თემურ გოგიხვანიძემ

ნახატი ი. არდიშვილისა



გულმოსულმა ქუდი აიღო და გაჩქარებით გასწია ვაჟასაკენ.

აი, ვაჟას სახლიც.

ზარი დარეკა, კარი ვაჟამ გაუღო. ძლიერ გაუკვირდა ავთანდილის დანახვა, სულ რაღაც ერთი საათის წინ ერთად იყვნენ და განა რა დასჭირდა ისეთი, რომ მოაკითხა? ავთანდილი აღელვებული ჩანდა. რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ დაეწყო. ბოლოს, როგორც იქნა, წამოიძახა:

— არა გრცხვენია, ბიჭო, უჩემოდ რად წამოიღე?

— რა?

— ვითომ არ იცი,—აი, ის წიგნი! რისთვისაც ჩემთან იყავი.

— ხომ არ მათხოვე!

— არ გათხოვე, მაგრამ მაინც წამოგილია.

— როგორ! მე ხომ მაგიდაზე დავტოვე?

— კიდეც უარობ?! გამბედაობა არა გყოფნის, თქვა: მე წამოვიღეო. კარგი, კარგი...—წაიდუდღუდა ავთანდილმა და გაჯავრებული წავიდა. გზაში სულ ბუზღუნებდა, ძალიან გულმოსული იყო ვაჟაზე. შინ რომ მივიდა, კიდევ ეძება, მაგრამ ვერ ნახა.

სალამოს ბარგი-ბარხანით სადგურზე ვაეშურნენ. ფუსფუსში და სოფელზე ფიქრში ავთანდილი ისე გაერთო, რომ სულ გადაავიწყდა წიგნის ამბავი.

მთელ ღამეს მატარებელში ეძინა. დილით უკვე სოფელში იყვნენ. ბებიას სახლიც გამოჩნდა!

როგორი სიხარულით შემოეხვივნენ ბებიას; დაჰკოცნეს, დაატრიალეს, კინაღამ წააქციეს მოხუცი. შემდეგ მოირბინეს ეზო, მეზობლის გოგო-ბიჭები მოინახულეს და ისევ სახლს მიაშურეს.

დაიწყო მაჟრაშებისა და კალათების გახსნა. ავთანდილი დიდი კაცივით ეხმარებოდა დედას; ხსნიდა თოკებს, იღებდა და ალაგებდა ქალაქიდან წამოღებულ ტანისამოსსა თუ ნივთებს.

გახსნეს კალათი და რას ხედავს: აგერ არ არის ის წიგნი?

— დედა, აი, ჩემი წიგნი!—სიხარულით წამოიძახა ავთანდილმა, მაგრამ უცებ ვაჟა მოაგონდა და მოიღუშა.

— აქ საიდან გაჩნდა, შენ ხომ არ ჩასდე, ეთერ?

ეთერი ჯერ უარზე იყო, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა და ტირილი წასკდა:

— მე ჩავდე, მე,—სლუკუნებდა ეთერი,— ვაჟა რომ გაალეს, წიგნი მაგიდიდან ავიღე და ფურცვლა დავიწყე. უცებ შენი ფეხის ხმა მომესმა, ძალზე შემეშინდა, ვიცოდი, გამიჯავრდებოდი, მაგიდაზე დადება ველარ მოვასწარი და იქვე კალათში ჩავდე. შემდეგ კალათი თოკებით შეკრეს და წიგნი შიგ ჩარჩა.

ავთანდილი გაოგნებული იდგა. მიხვდა, რა დაუფიქრებლად მოიქცა, როგორ ტყუილუბრალოდ აწყენინა ვაჟას. რატომ იჩქარა? ცოტა რომ მოეცადა, ხომ არ დაემართებოდა ეს ამბავი, არ დაემართებოდა, არა. უსათუოდ ყველაფერი უნდა შეატყობინოს ვაჟას, ყველაფერი აუხსნას.

ავთანდილი დაჯდა და დიდი წერილი მისწერა ამხანაგს, ბოდიშს იხდიდა დაუფიქრებელი საქციელისათვის.

# ენის გასატეხი

**ღ** ავი შაშვი შავ შოშიას გუშინ შაქარს შეჰპირდა!

**თ** ამაზ, თოფს თავი ანებე, რა გეთოფგეოფოფება!

**ჰ** ნცმა ციყვმა ციცარს ცახცახით უთხრა: გაცეცხლებული ვარ, რა მეცერცვ-მეცერეცოება.

გ. ხავთასი — ნახატები ზ. ფორჩხიძისა



## თევზი

თევზის ნახვამ ძლიერ
გააოცა ზურა.
თქვა: - ხელი რომ არ აქვს,
წყალში როგორ ცურავს?!

## მკერავი

გაოცდება, ვინც ნახავს
ჩვენი მზიას ნახელავს,
ჯერჯერობით უკეთ იცის
შეკერილის დახევა.



## ხომკაკალა

მელიასგან ციყვუნებს
მოუპარავთ კალათი,
სავსე განა თხილის გულით?
თეთრი ხომკაკალათი.







## კალია

ალიასა, ბალიასა,
ცეცხლი გასდის ფალიასა.
ჩვენებიანთ ყანის ბოლოს
წისქვილი აქვს კალიასა,
სარეკელას რაკარუკი
იქლებს ღამეს მთვარიანსა.



## ბუძგა-ბუძგა ეკალო

ბუძგა-ბუძგა ეკალა
გზაზე შემომეყარა.
ხელი ვახლე, გაბრაზდა,
წვრილი სამტროდ მეჭყარა.
გამარჯობა ვუთხარით
მშიშარას და ნაზიას,
პასუხიც კი არ გაგვცა,
რა უზრდელი ზღარბია!

## ფინია

ინდაური კარის გზაზე,
შეიფერა ფინიამ:
— ალბათ დიდი გაიზარდე,
ჩემი რომ გშინია!







## ბაჭულა და კურდღლები

ბოსტნის კარი ღიაა,
შიგ არავინ არა ჩანს,
მხოლოდ კუდაპრუწიკი
ბაჭულა ზის დარაჯად.

მოხტუნდნენ კურდღლები,
ველს მწვანეს კურდღლები,
შენი მეზობლები ვართ,
არ გეგონოთ ქურდები.

ბაღში ტკბილი სტაფილო
ჩვენთვის შემონახულა,
ჩვენი ტოლი არა ხარ?
გაგვატანე, ბაჭულა!



# მეჯიბრეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა ქაქიშაძე

ნახატი ზ. კაპანაძისა

გია და მერაბი ყანის პირას ისხდნენ, ჭილის ქუდები ეხურათ და თვალს ადევნებდნენ მობალახე ხბორებს.

გიას ხბოს ნიკორა ერქვა, მერაბისას—გიშერა. ისინი ყანების შუა სვრელში მადიანად სძოვდნენ ბალახს და შავ-შავ თვალებს ხარებივით აბრიალებდნენ.

— ჩემს ნიკორას ხბო ვერ სჯობია,—დაიწყო გიამ,—ხომ ხედავ, როგორი ნიშანი აქვს შუბლზე. ბაბუმ მითხრა, როცა გაიზრდება, ხარი ვერ აჯობებსო...

— ჩემს გიშერას ვეებერთელა რქები ექნება! ასე თქვა ბაბუმ, ყველა ხარს მოერევაო...

— ჩემს ნიკორას ვერ მოერევა...

— შენი ნიკორა რაღაა, თუ ყველა ხარს მოერევა?..

— აბა, დავაჭიდოთ!.. ვნახოთ, რომელი აჯობებს.

წამოცვივდნენ ბიჭები, ერთმა ნიკორას სტაცა ხელი, მეორემ—გიშერას. თავი თავს მიადებინეს და გაშორდნენ. ხბორებმა ერთმანეთი დაყნოსეს და „მოილაპარაკეს",—რა დროს ჩხუბია, მოდი, რძიანი ბალახი ვჭამოთო.

— შეეშინდა ნიკორას!—დაიწყო მერაბმა.

— შენს გიშერას შეეშინდა!—მტკიცედ თქვა გიამ.

— გიშერას თავი სულ არ აულია ზევით. ნიკორა მოსცილდა,—იძახდა მერაბი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ხბორების ნაცვლად ბიჭებმა გააჩაღეს ჭიდაობა. ჭიდაობიდან ჩხუბზე უნდა გადასულიყვნენ, რომ სწორედ ამ დროს სიმინდის ყანიდან მტვრევის ხმა მოისმა.

ყურები ცქვიტეს ბიჭებმა.

— ნეტავ რა უნდა იყოს?—შიშნარევი ხმით იკითხა გიამ.

— წავიდეთ, ვინ იცის, დათვია!—შეშფოთდა მერაბი.

— უმწიფარ სიმინდში დათვი არ დადის, ასე თქვა ბაბუმ, ღლისითაც არ ჩამოდის თურმე სოფელში. ალბათ ვისმე საქონელი გამოეპარა.

— თუ ასეა, მივეშველოთ და ყანა გადავარჩინოთ!—შიში გაუქრა მერაბს.

— კარგი,—დაეთანხმა გია.

ბიჭები ყანის შუაგულში შეიჭრნენ და რა ნახეს: ზღვასავით ლურჯ სიმინდში მათი სანაქებო ხბორები შესულიყვნენ და აჩანაგებდნენ.

— ნახე, რა გვიყო ჭიდაობამ და ჩხუბმა?!—ამბობდნენ ბიჭები და ყანიდან თავიანთ ხბორებს მოერეკებოდნენ. მერე ჯოხები მოძებნეს და ყანის პირას გუშაგებივით დადგნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

# გამოცანები



ავთანდილ ვართაგავა

ოთხი ფეხი აქვს, ვერ დადის,
სკამი გვერდზე აქვს,—ვერ ჯდება,
გამოცნობაა ადვილი,
ვინც დაფიქრებას ეცდება.



უამხანაგოდ ვერ ნახავ,
ჭყავს მეგობარი ერთგული;
თვითონ ვერ დადის, სხვა დაჭყავს,
პირი თოკით აქვს შეკრული.

# გამოცდა

შოთა ამირანაშვილი

— ისევ დედამ ამოგიხსნა
მაგალითი, თამაზ?
— მაშ რა მექნა, ვეხვეწე და
არ ეცალა მამას!

# გავეჯიბროთ

თინათინ კვირიკაძე

ბიჭებო, ჩვენს სკოლაში
დურგლობა რომ ვისწავლეთ,
გარანდვაზე პირველად,
გახსოვთ, როგორ ვიწვალეთ?

ჰოდა, პარკში ყოველდღე
რომ ვიაროთ, რა გვინდა!
გავაკეთოთ ჩოგბურთის
სათამაშო მაგიდა.

ფიცრებსა და დიდ ლურსმნებს
ამ წუთში აქ გავაჩენ.
სამუშაო იარაღს
გამოვართმევ მამაჩემს.

ჯერ ფეხები გავთალოთ,
ისე როგორც სკოლაში.
გავეჯიბროთ ერთმანეთს
შრომა-გარჯილობაში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 40 ჩვენი გამოფენა



1





2

1. „რაკეტა“—აპლიკაცია მარინე იაშვილისა (ბათუმის 25-ე საბ. ბაღის აღსაზრდელი).

2. „მშენებლობაზე“—ნახატი გოგი ბალოშვილისა (ბათუმის მეოთხე საბ. ბაღის აღსაზრდელი).



3



4



5

3. „სამხედრო პარადი“—ნახატი გრიშა გრიდნევისა (ბათუმის მეოთხე საბ. ბაღის აღსაზრდელი).

4. „მელია და ჩიტი ჩიორა“—(პლასტილინი) ნაძერწი 6 წ. ვანო ბექანიშვილისა—(ენისლის საბ. ბაღის აღსაზრდელი).

5. „გაზაფხული“—ნახატი 8 წ. ნანა ვახვახიშვილისა (თელავის III საშ. სკოლის მოსწავლე).

6. „ყაყაჩოები“—ნახატი 7 წ. ზურაბ სტურუასი (ქუთაისის მე-13 საშ. სკოლის მოსწავლე).

7. „ხალიჩა“—ნახატი კოტე ბასილაიასი (ქ. ფოთის № 6 საბ. ბაღის აღსაზრდელი).

8. „ხე ვენახით“—ნახატი ავთანდილ გოგიჩაიშვილისა (ქ. ფოთის № 6 საბ. ბაღის აღსაზრდელი).

9. „გემი ზღვაში“—ნახატი თედო ჩხარტიშვილისა (ქ. ფოთის № 6 საბ. ბაღის აღსაზრდელი).







8

6



ყდ. 12/25.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყდაზე: „ჩვენი დღესასწაული“ — ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91, ტელ. 5-37-38.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე). ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

ფასი 20 კაპ.

გამოცემის ოცდამეთხუთმეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული“, გამომც. შეკვ. № 169, სტამბის შეკვ. № 1311 ტირაჟი 35000 ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV 1962 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ბეჭდვის ფაბრიკაში ბროსეს ქ. № 2.

Д И Л А — на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91.